



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI-PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით, აცხადებს სტუდენტური გუნდების რეგისტრაციას, **ბიზნესის სამართლის სტუდენტურ შეჯიბრში „იმიტირებულ სასამართლო პროცესები“** მონაწილეობის მისაღებად.

შეჯიბრის შესახებ:

შეჯიბრი იმიტირებულ სასამართლო პროცესში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საგანმანათლებლო მეთოდად თანამედროვე სამართლის სწავლებაში. შეჯიბრის მიმდინარეობისას სტუდენტები მონაწილეობენ მოსამზადებელ პროცესსა და საქმეების განხილვაში მსაჯების წინაშე. საქმე და მხარეები შერჩეულია წინასწარ და სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული დრო საბოლოო პროცესისთვის მოსამზადებლად. შეჯიბრი ჩვეულებრივ, მოიცავს წერილობითი აპლიკაციების მომზადებას, როგორც პირველ საფეხურს და ზეპირ გამოსვლებს - საბოლოო საფეხურის სახით. მსაჯები არიან სამართლის პროფესორები, ადვოკატები და მოსამართლეები.

ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო პროცესები წარმოადგენს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოს სიმულაციას შესაბამისი პროცედურების დაცვით, შეჯიბრის ფორმატში. იმიტირებული სასამართლო პროცესების პრინციპები და წესები შემუშავდა ცნობილი და აღიარებული საერთაშორისო იმიტირებული პროცესების პრაქტიკაზე დაყრდნობით.

საქმეებში მოცემული იქნება საქართველოში არსებული ბიზნესის სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები. შეჯიბრი მოიცავს წერილობითი აპლიკაციების წარდგენასა და ზეპირ განხილვას მსაჯების წინაშე. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, გუნდებთან გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა.

მონაწილეობის წინაპირობები:

შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში არსებულ აკრედიტებულ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა სამართლის სკოლების ბაკალავრიატის სტუდენტებით დაკომპლექტებულ გუნდებს 2-4 წევრის შემადგენლობით.

გუნდების რეგისტრაცია და წერილობითი განაცხადების წარდგენა:

შეჯიბრში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა უნდა შეავსონ თანდართული [ელექტრონული სარეგისტრაციო განაცხადი](#). გუნდების რეგისტრაციის ბოლო ვადაა **2017 წლის 1 დეკემბერი (23:59 საათმდე)**. რეგისტრირებული გუნდების საკონტაქტო პირებს წერილობითი განაცხადების (სარჩელი და შესაგებელი) წარსადგენად მიეწოდებათ შესაბამისი ბმული. წერილობითი განაცხადების ბოლო ვადაა **2017 წლის 14 დეკემბერი (23:59 საათმდე)**.

შეჯიბრის საქმე და წესები იხილეთ ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრის [ვებ-გვერდზე](#).

